ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N46

სხდომის ჩატარების დრო:
7 ივნისი, 2024 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული
პირის „სპეციალური სერვისების" ადმინისტრაციული
შენობა, ავტომშენებლის ქუჩა N55

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაია სიმონიძე, თეიმურაზ ნადირაძე, მაგდა კოსტავა, ზაქრო მამასახლისი, ჯემალ ბიბილეიშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა რიჟამაძე.

სულ: 8 წევრი.

არ ესწრებოდნენ: გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გიორგი კილაძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" დირექტორი **თენგიზ არსენიძე,** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" დირექტორის მოადგილე **კახი ხუჯაძე,** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის" დირექტორი **მალხაზ ბასილაძე.**

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ანგარიში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ;

2. ანგარიში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გიორგი კილაძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ანგარიში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ“**

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ დირექტორმა, ბატონმა **თენგიზ არსენიძემ**: „წარმოგიდგენთ ინფორმაციას ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების“ მიერ 2024 წელს ხუთი თვის შესრულებული სამუშაოების შესახებ, 2024 წლისათვის ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებში" დაიგეგმა საბიუჯეტო პროგრამის სახსრების გამოყენება ჯამში 7 815 000 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა) და საკუთარი სახსრების გამოყენება 1 500 000,0 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა). აქედან ორგანიზაციამ ასიგნების სახით გამოიყენა 2 314 260,31 ლარი და 705 509,48 ლარი საკუთარი სახსრებიდან. ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებმა" დამატებით მიიღო 496 343,68 ლარის შემოსავალი (დამატ.მომსახურება ურნების გამოყენებით - 465 047,42ლ; სხვა დამატებითი მომსახურებიდან - 7 880.0ლ; ცხოველთა თავშესაფარში გაწეული მომსახურებით - 4 985.0ლ; დეზინფექცია დერატიზაციის მომსახურებიდან - 5 732,29ლ; მაკულატურის რეალიზაციით – 11 713,60ლ და სხვა შემოსავლები - 985,37ლ). დამატებითი შემოსავლების კვარტლურმა შესრულებამ შეადგინა 79,42 %. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილ იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენი 22 342,6 ტონა. დაიგვა და დასუფთავდა - 359 841 760 m^2. ქალაქის ქუჩები და ადმინისტრაციული შენობა. მოირწყა და ჩაირეცხა 50 000 m^2 ქალაქის ქუჩა, ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით ქალაქში რამოდენიმეჯერ თოვლისაგან გაიწმინდა ქუთაისში არსებული ხიდები, ქუჩები, საფეხმავლო ტროტუარები, რისთვისაც გაიხარჯა 4,3 ტონა ტექნიკური მარილი და 24,0 m^3 ქვიშა, დაიწნეხა ქალაქის ტერიტორიიდან მოპოვებული 202 შეკვრა მუყაო და 2 შეკვრა პლასმასი, 2023 წლიდან ნაშთის სახით გადმოგვყვა 25 შეკვრა მუყაო და 29 შეკვრა პლასმასი. აქედან 180 შეკვრა მუყაო გაიყიდა და ორგანიზაციამ დამატებით შემოსავლების სახით მიიღო 15 506,1 ლარი,

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის კომპოსტირების სამსახურმა 2024 წლისათვის შეძლო ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე ხეების გადაბელვითა და სხვლა-ფორმირების შედეგად მიღებული მწვანე ნარჩენების დაქუცმაცების შედეგად 22,8 ტონა საკომპოსტე მასალა გადაამუშავა და მიიღო 10 ტონა მზა პროდუქტის ნაყარი (2023 წლიდან გადმოსული საკომპოსტე მასალა 134,6ტ და 2,5ტ მზა კომპოსტი), გადაიბელა და სხვლა-ფორმირება ჩაუტარდა - 138 ძირ ხეს. მოიჭრა გამხმარი და სტიქიით დაზიანებული - 85 ძირი ხე. დაიმორა 122,5 $მ^3$ საშეშე მერქანი, რითაც დაკმაყოფილდა 75 ბენეფიციარი. სულ მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნით შესრულდა 94 დაგეგმილი სამუშაო, უმეთვალყურეო ცხოველების თავშესაფარში შემოყვანილ იქნა 675 ძაღლი, 13 ლეკვი და 12 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. გაჩუქდა 15 ძაღლი, 6 ლეკვი და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მფლობელებს დაუბრუნდათ 15 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ევთანაზია გაუკეთდა 35 ძაღლს. ბუნებრივად გარდაიცვალა 6 ძაღლი. ოპერაცია ჩაუტარდა 587 ძაღლს, აიცრა 589 და ბუნებრივ არეალში გაიშვა 560 ძაღლი. დამატებით კერძო მოსახლეობიდან შემოყვანილი შინაური ცხოველების მომსახურებიდან ორგანიზაციამ მიიღო 4 985 ლარი, ქვეწარმავლების საწინააღმდეგოდ შეიწამლა 14 280 გრძ/მ მიწის ფართობი. მღრღნელების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 988 139 $მ^2$ ტერიტორია. დეზინსექციირდა სპეციალური რეაგენტებით შეიწამლა და ლიკვიდირებულ იქნა 140 კრაზანის ბუდე და 115 470$მ^2$ ფართობი, დეზინფექციირდა 192 093 $მ^2$, ასევე შეიწამლა 420 სველი წერტილი, დაიქლორა 103 000 ლიტრი წყლის სამარაგე ავზები, გაიწმინდა - 9 340 გრძივი/მეტრი სანიაღვრე არხი. ამოიწმინდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 1 082 ჭას და ცხაურს. ბალახისაგან გაითიბა - 157 790 $მ^2$ ფართობი. შესრულდა - 281 სხვა დამატებითი სამუშაო. დამონტაჟდა - 8 ცალი სანიაღვრე ჭა და ცხაური, შეკეთდა 9 ცალი საბავშვო ატრაქციონი, აღდგა 13 ცალი სპორტული მოედანი, აღდგა 5 ცალი გამაჯანსაღებელი ტრენაჟორი, დემონტაჟი ჩაუტარდა 1 ატრაქციონს, აღდგა 1 სკვერი."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „ქალაქში რომ დავდგით ურნები, რამდენად შეგიმსუბუქდათ მდგომარეობა? გამართლებულია? დახარისხებით ყრიან ნაგავს?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" დირექტორი, ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „ბოლომდე გამართლებული არ არის, მიუხედავად ჩამონათვალისა, რომელში რა უნდა ჩაიყაროს, გარე სივრცეშიც კი, ღია ტიპის ლურჯ სეტკა ურნებშიც, რომლებიც პლასტმასისთვისაა განკუთვნილი, ჩვეულებრივ ნაგავს ყრიან, დახურულ ურნებზე ზედმეტია საუბარი, ფანჯრიდან რომ გადაიხედოთ, დაინახავთ ეზოში რამდენი დაზიანებული ურნაა განთავსებული, იმას თუ არ ჩავთვლით დაზიანებასთან ერთად რომ ჩვეულებრივი ნაგავი იმაზე მეტი მოყვება, ვიდრე რისთვისაც არის კონკრეტულად განკუთვნილი."

კომისიის წევრი, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „ალბათ უფრო ცნობიერება გვაკლია აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში."

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" დირექტორი, ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „სხვათაშორის ჩვენთან საკომპოსტეში დაიწყეს ბიოლოგიის მასწავლებლებმა ბავშვების მოყვანა, ჩვენ ვუხსნით პროცედურებს, რომ სეპარირება, გარდა ტოტისა და სხვა ნივთებისა უნდა მოხდეს პლატიკისაც, რამდენიმე სკოლამ გამოთქვა სურვილი, რომ დაგვედგა სპეციალურად პლასტიკისათვის განკუთვნილი ურნა და

ჩვენც გავითვალისწინეთ მათი თხოვნა, კვირაში ერთხელ მიდის მანქანა და ცლის ამ ურნებს, ეს ყველაფერი კარგია, თუმცა უფრო მეტი ცნობიერებაა საჭირო, უფრო ფართომასშტაბიანი."

კომისიის წევრი, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „როგორც ვიცი სპეციალურად ურნები განკუთვნილია პლასმასის, ქაღალდისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენისათვის და ყველას აწერია შესაბამისი წარწერა ხომ?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" დირექტორი, ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „კი ასეა, ყველას აქვს წარწერა, ხშირია ასევე დაზიანების შემთხვევები, წვავენ სიგარეტით, აზიანებენ, ამტვრევენ და მოკლედ სამწუხაროა ეს ფაქტები, მხოლოდ 6 ლოკაციაზეა მსგავსი ურნები განთავსებული."

კომისიის წევრი, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „მანქანებზე კიდე პრობლემა გვაქვს, დაახლოებით რამდენი ახალი მანქანაა საჭირო დღეის მდგომარეობით?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" დირექტორი, ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „ჩვენს ავტოპარკს თუ გადახედავთ, მიხვდებით პრობლემას, ახლა მოთხოვნა ორ 7 კუბიან მანქანაზე გვაქვს გაგზავნილი, უბნებში გზებზე რომ შეძლოს შესვლა, კვლევები გაკეთებული გვაქვს ახლა გავაგზავნეთ თბილისში, ვყიდულობთ საკუთარი ფულით და ველოდებით ნებართვას, რაც შეეხება მანქანების რაოდენობას, 7 ერთეული პატარა და 12 ცალი-დიდი ზომის მანქანა მაინც გვესაჭიროება გამართული მუშაობისათვის, დღესდღეობით 6 ერთეული ვაი მომუშავე ნაგვის მანქანა გვყავს."

კომისიის წევრი, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „ჩვენი ურნები, რომლებიც დგას კომერციულ ფართებთან და სავაჭრო ობიექტებთან, ძირითადად გადავსებულია ამ ობიექტებიდან გამოტანილი მუყაოს ყუთებით, რაც შეუძლებელს ხდის მოსახლეობის მიერ ნაგვის განთავსებას მათში, კანონით თუ არის შესაძლებელი ან განვუსაზღვროთ ცალკე ჭქონდეთ მათ საკუთარი და არ ჩაყარონ მუნიციპალურ ურნებში, ან დავუწესოთ ჯარიმები."

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" დირექტორი, ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „გვქონდა ჩვენ ამაზე საუბარი, ჯარიმები მუნიციპალური ინსპექციის თემაა, მაგრამ ჩვენ გვქონდა შეხვედრა და ასეთი რამე შევთავაზეთ, ეს მუყაოს ყუთი როცა გაცარიელდება, დაკეცონ, დააწყონ ერთად, დაგვირეკონ და ჩვენ მივალთ და წამოვიღებთ, გვაქვს ჩვენ ასეთი ლოკაციები და ყველა ობიექტმა რომ ეს კულტურა გაითავისოს, ბევრად განიტვირთება მდგომარეობა, როგორც მოსახლეობისთვის, ისე ჩვენთვისაც."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „შარშანდელი ავტოპარკი გაქვთ წელსაც, არ განახლებულა?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" დირექტორი, ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „გადმოგვცეს ორი ერთეული 10 კუბიანი მანქანა, რაც დიდად ითვლება და ხალა ველოდებით 2 ერთეულ 7 კუბიანს, როგორც წეღან ავღნიშნე. რათქმაუნდა ქალაქსაც დაეტყო და უფრო უკეთესობას ველოდებით."

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „ტექ. მომსახურეობის თემაში თქვენვე გყავთ ხელოსანი?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" დირექტორი, ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „მე კი მყავს ჩემი ხელოსანი მაგრამ, ელექტროობასთან, ძრავთან და ასეთ შერემონტებასთან დაკავშირებით GSM ჯგუფმა მოიგო დიდი მანქანების ტენდერი, ხოლო პატარა მანქანებზე-„ბაჯო მოტორსმა"."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „პირობითად ჩემს სამაჟორიტარო ოლქში ნაგვის მანქანა ხომ

დადის ცენტრალურ გზაზე ყოველდღე, არის მეორადი ქუჩები რაც ამ ცენტრალურ ქუჩას უერთდება, სადაც ყოველდღიურად ვერ ხერხდება მომსახურეობის გაწევა, თუ არის შესაძლებელი გავზარდოთ ურნების რაოდენობა და ამით მაინც ვაგრძნობინებთ შვებას მოსახლეობას, მაგალითად მოვიყვან ბოტანიკური ბაღის წინ განთავსებულ ურნებს, სულ იდგა ხოლმე სამი ერთეული და დღეს ერთი ცალი დგას, სუფევს ანტისანიტარია და იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას."

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" დირექტორი, ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „კი, ნამდვილად საჭიროა ურნების საკმაო რაოდენობით შეძენა, წელს ვიყიდეთ 100 ერთეული, შარშანაც ასევე, შარშანწინ იყო 120 ცალი პლასტმასის და 80 ლითონის შევიძინეთ, თუმცა ჩათვალეთ 120 ცალი პლასმასის ყუთიდან დარჩენილი იქნება 30 ცალი, ეზო სავსეა დაზიანებული ურნებით, არ იქნა გამართლებული. ახლა ქალაქის მასშტაბით დაახლოებით 700 ცალი ურნა მაინც გვესაჭიროება, თუმცა ჯერჯერობით 100 ცალი გვაქვს შეძენილი, კიდევ ერთ საკითხს შევეხები, უბნებში დამერწმუნეთ ვერ დადგამთ ურნას სურვილისამებრ, არავის აქვს სურვილი თავის სახლის წინ იდგეს, იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, უკმაყოფილებას და საბოლოოდ ვერ მივდივართ შეთანხმებამდე, გარდა დაუსახლებელი ადგილებისა."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „რა ღირს ერთი ურნა?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" დირექტორი, ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „კვლევაზე დაყრდნობით ერთი ცალი ლითონის ურნა ღირს 1700 ლარი, პლასმასის კი-1000."

კომისიის წევრი, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „გაპონოვის ქუჩაზე, მეორე სალოცავთან, შაბათ-კვირას გაუსაძლისი მდგომარეობაა, გადავსებულია ნაგვით, თუ არის ყუთის დადგმის შესაძლებლობა, იქნებ მოვახერხოთ, უბრალოდ სირცხვილია ტურისტები უყურებენ ამ ყველაფერს."

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" დირექტორი, ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „ყუთის დადგმას, თუ ყოველდღე არ დაიცლება, აზრი არ აქვს, სვლა-გეზიც უნდა შეიცვალოს, გადავხედავ სიტუაციას."

კომისიის წევრი, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „კიდევ ერთ საკითხს შევეხები, ურნების გადაადგილება ხდება ხშრად და დავიღალეთ უკვე ჩემს სამაჟორიტაროშიც, შეიძლება თუ არა რომ მკაცრად განვუსაზღვროთ ადგილები, სადაც ეს ურნა უნდა იდგეს და დაჯარიმდეს ის მოქალაქე, ვინც ადგილს შეუცვლის, მოვითხოვოთ ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, რომ გზების რეაბილიტაციის დროს ყველა ქუჩაზე განისაზღვროს კონკრეტული ლოკაციები და შემდეგ განთავსდეს ურნები იქ უპრობლემოდ. წინასწარ გავიაროთ ყველამ ერთად ამ ადგილების შესახებ, შევჯერდეთ და კომისიის სახელით მივმართოთ შესაბამის სამსახურს, რათა გაითვალისწინონ და წესების დარღვევის შემთხვევაში დაწესებულ იქნეს სანქციები."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „სანიაღვრეებთან დაკავშირებით მაქვს კითხვა, პირობითად შემოვიდა ცხელ ხაზზე ზარი რომელიმე სანიაღვრე არის გაბიდნილი და მიდის ადგილზე თქვენი სამსახური, მაგრამ თუ შეიძლება ასე გავაკეთოთ და რამდენად მართებულია, რომ პირობითად შეტყობინების არსებობის გარეშე, ვიცით რომ არის დასილული კონკრეტული ლოკაცია და უხვი ნალექის დროს შეიქმნება პრობლემები, ამ დროს თუ შეგვიძლია გაწმენდა წინასწარ?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ დირექტორი, ბატონი **თენგიზ არსენიძე**: „კი რათქმაუნდა თვეში ერთხელ მაინც ვახორციელებთ გაწმენდით სამუშაოებს, მიდის ჩვენი სამსახური და წმენდს ცხაურებს, მართალია მთელ ქალაქს ვერ გადავკეტავთ, მაგრამ სადაც ვიცით ძლიერი წვიმის შემდეგ დადგება პრობლემა, იქ აუცილებლად ვახორციელებთ ამ სამუშაოებს.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გიორგი კილაძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მოწონებულ იქნეს დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხი „ანგარიში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ“ და შეფასებულ იქნეს დადებითად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- „ანგარიში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ“

დღის წესრიგით გათვალისწნებული მეორე საკითხი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ დირექტორმა, ბატონმა **მალხაზ ბასილაძემ**: „წარმოგიდგენთ ჩვენს მიერ გაწეული სამუშაოების მოკლე მონახაზს, მოგეხსენებათ ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისი“ წლის დასაწყისში 4 მილიონი ლარით იყო დაფინანსებული, მაგრამ თებერვლის თვეში ჩვენ გადმოგვეცა შადრევნები და სასმელი ნიჟარები, აქედან გამომდინარე გაიზარდა ჩვენი ბიუჯეტი და გახდა 4 871000 ლარი, ამ თანხიდან ძირითადი მასა მაინც 2400000 და პლიუს 300000 მიდის ხარჯებში, რაც გამომდინარეობს ელექტროენერგიისა და წყლის მოხმარებისგან, დანარჩენი განკუთვნილია მიმდინარე სარემონტო ხარჯებისათვის, და იმ მასალებისათვის რაც სამუშაოდ არის საჭირო, დღეისათვის უკვე სადენების ის რაოდენობა, რაც წლის განმავლობაში გვჭირდება, შეძენილია, თუმცა ეს კვლავ ეტაპობრივად ხორციელდება, წლის განმავლობაში, რაღაც ქუჩები გვაქვს დარჩენილი, სადაც არის ღია ხაზები და იმათი შეცვლა გვინდა, მაგრამ ბიუჯეტიდან გამომდინარე სრულად ვერ ვყიდულობთ, სანათები შესყიდულია, მართალია ცოტა მოგვიანებით მოგვივიდა თუმცა შევიძინეთ, იმედია გაამართლებს ახალი კომპანიის მიერ მოწოდებული სანათები, რომლებიც ცოტა მსუბუქია, გაიმარჯვა ტენდერში ბაზარზე

ახლადშემოსულმა კომპანიამ „აგროინვესტმა“, რომელმაც ცოტა მოგვიანებით მოგვაწოდა პროდუქცია, ჩინეთიდან ტრანსპორტირების დროის გაგრძელების გამო.“

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „რო დავაკონკრეტოთ რას გულისხმობს წყლის ხარჯი?“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ დირექტორი, ბატონი **მალხაზ ბასილაძე:** „როგორც ავღნიშნე ჩვენს ააიპ-ს გადმოეცა ოთხი ძირითადი შადრევანი, რომელთაგან სამ მათგანს-ცენტრალურს, ნინოშვილის სკვერში და კიკვიძის ბაღში არსებულებს უნდათ გარეცხვა, რასაც ვაკვრდები წინა ხანებში ხდებოდა თვეში ერთხელ დარეცხვა მაგრამ არასაკმარისია, მინიმუმ თვეში ორჯერ მაინც საჭიროა გარეცხვა, ეს იმდენად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული მოგეხსენებათ, ახლა გავიარე კონსულტაციები, როგორც გავიგე არსებობს წყლის დამარბილებელი მექანიზმები, რომლითაც ეს წყლის სიხისტე შესაძლოა შევამციროთ, სადაც იყო წყლის დასალევი ნიჟარები თითქმის ყველა მათგანი იყო დაზიანებული, შემთხვევით მივაგენი ორგანიზაციას, რომელსაც აქვს 50 ცალი ხელით რეგულირებადი ნიჟარა, ჩამოსვლისთანავე 15 ერთეული დავაყენეთ ქალაქში და ყველა დაზიანებული დაგვხვდა მეორე დღეს, სამწუხარო ფაქტია დამეთანხმებით. გავაგრძელებ საუბარს და შევეხები ფასადის სანათებს, ამათი კორპუსები არის ალუმინის და ფაქტიურად ყველა მუშაა, ესენი შედგება ჩიპისა და დრაივერისაგან, ახლა შევიძინეთ აღნიშნული ჩიპები და დრაივერები და ვაწყობთ ამათ, დაზიანებული სანათები რაც გვქონდა ისინიც მსგავსად შევარემონტეთ, ამით ხარჯი მნიშვნელოვანწილად შევამცირეთ, შეძენილი გვაქვს აგრეთვე სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები, თუმცა მცირე რაოდენობით მოხდა ამათი შეძენა იმ პრინციპით, რომ მხოლოდ ბაღებისა და სკოლების წინ ცენტრალურ ქუჩებზე მოვახდინოთ დაყენება, დანარჩენ სამუშაოებს რაც შეეხება, მიმდინარეობს ეტაპობრივად, საქმე გადანაწილებულია და მაქსიმალურად მოკლე დროში ვცდილობთ შევასრულოთ ვალდებულებები.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „თქვენ ტექნიკაში მატება გაქვთ?“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ დირექტორი, ბატონი **მალხაზ ბასილაძე:** „სამწუხაროდ არ გვაქვს მატება, ჯერჯერობით ვართმევთ თავს, თუმცა ვფიქრობ, საახალწლო პერიოდში გაგვიჭირდება, რაც შეეხება დასახაზ აპარატს, შევიძნეთ, იმიტომ რომ ძველი გამოვიდა მწყობრიდან, იმდენად შრომატევადია ეს პროცესი მე თუ მკითხავთ, ერთი მანქანა არასაკმარისია, არ ვიცი თუ გახსოვთ, მაგრამ ჭავჭავაძის გამზირს ხაზავდა სამი მანქანა და ოთხი დღე მოუნდნენ დაახლოებით, მანქანების ნაკადმაც ისე მოიმატა, საღამოს 9 საათის შემდეგ გასული ბიჭები 12-მდე მუშაობას ვერ იწყებენ, ასე რომ მივყვებით ნელ-ნელა ეტაპობრივად.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „შუქნიშანთან დაკავშირებით მაქვს კითხვა, აღმაშენებლის გამზირზე 21-ე სკოლასთან რამდენად არის შესაძლებელი დავაყენოთ შუქნიშანი?“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ დირექტორი, ბატონი **მალხაზ ბასილაძე:** „მოგახსენებთ რატომ არ არის შესაძლებელი აქ შუქნიშნის დამონტაჟება,როგორც იცით შუქნიშანი არის აღმაშენებელი ნინოშვილის კვეთაზე და შუქნიშნებს შორის 300 მეტრი მაინც უნდა იყოს დაშორება, ახლა მანქანების იმდენად დიდი ნაკადია, ასე ახლო ახლო ნაკადების შეჩერება არეულობას გამოიწვევს, სულ ვიძახი, როცა

არეალი გვაძლევს საშუალებას ასეთ ადგილებში უნდა გაკეთდეს ან მიწისქვეშა ან საჰაერო გადასასვლელი, ეს უფრო უსაფრთხო იქნება."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „რაც შეეხება სასმელ ნიჟარებს, ხშირი შემთხვევა იყო რომ ძალიან მოუვლელი და მოუწესრიგებელი გვხვდებოდა."

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის" დირექტორი, ბატონი **მალხაზ ბასილაძე:** „გეუბნებით მერიის წინ უკვე სამჯერ გამოვცვალეთ, ბიჭებსაც ვთხოვე თვალყურის დევნება, ადვილად ტრიალებს თავი და ალბათ მოქალაქეებს ჰგონიათ რომ მოსაშვებია, ზამბარის ამოვარდნის შემდეგ კი უკვე დაზიანებულია მექანიზმი. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ყველა მათგანი იყოს მწყობრში."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გიორგი კილაძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მოწონებულ იქნეს დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხი „ანგარიში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის" მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ" და შეფასებულ იქნეს დადებითად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი